საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

19/08/2025

MES 4 25 0000997386

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის" აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 276-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
1.5. აკრედიტაციის დებულების 275 - ე მუხლის მე-71 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის №512173 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და "განათლების პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შეფასება.
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:
ა) საბჭომ 1.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის ფორმულირება შეცვალა და ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:
„რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები საგნობრივი კომპეტენციების ნაწილში.“
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.2 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას" მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და "განათლების პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 19 აგვისტოს №999298 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გადაიხედოს და მკაფიოდ აისახოს საგნობრივი ცოდნის დაუფლების კომპონენტი, რაც აუცილებელია ოთხი საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა) სწავლების უფლების მისაღებად დაწყებით საფეხურზე. ეს უნდა წარმოადგენდეს პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მიზანს, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით;

• რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები საგნობრივი კომპეტენციების ნაწილშ;

• რეკომენდებულია, გადაიხედოს საგნების და მეთოდოლოგიის მოდულების (ქართული ენა და ლიტერატურა, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და მათემატიკა) კურსების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საფეხურსა და საგნებთან. ასევე, შეფასდეს მათი შესაბამისობა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების საგნობრივ ნაწილთან და საჭიროების შემთხვევაში, გაიზარდოს კურსების შინაარსი და ECTS-ების რაოდენობა;

• რეკომენდებულია, იმ სილაბუსებში, სადაც სწავლის შედეგები დაყოფილია 6 კომპონენტად, განხორციელდეს ცვლილება და ისინი გადაეწყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ახალი 3- კომპონენტიანი ფორმატის შესაბამისად;

• რეკომენდებულია, იმ სილაბუსებში, სადაც ეს ინფორმაცია არ არის მითითებული, დაემატოს სასწავლო მასალის შესაბამისი თავები და გვერდები;

• რეკომენდებულია, მომზადდეს დეტალური ინსტრუქციები და შეფასების სქემები იმ ამოცანებისთვის, რომლებიც უნდა შესრულდეს შემდეგი კურსების ფარგლებში: სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკა – ქართული ენა და ლიტერატურა, სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკა – სოციალური მეცნიერებები, სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკა – საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკა – მათემატიკა, რადგან აღნიშნული კურსების სწავლის შედეგები პირდაპირ უკავშირდება პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევას და გამოიყენება, როგორც ამ მიღწევის ძირითადი მაჩვენებლები;

• რეკომენდებულია, რომ პედაგოგიკის მოდულის კურსებში აისახოს სწავლის შედეგი, რომელიც ხელს შეუწყობს ძირითადი ცნებების — აღზრდა, განათლება და სწავლება — კრიტიკულ გააზრებას. ეს მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის არსისა და პრინციპების სწორად გასაგებად. ამასთან, სილაბუსებში უნდა იყოს მითითებული სავალდებულო აკადემიური ლიტერატურა ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლებიდან (განათლების ძირითადი თეორიები) და დიდაქტიკიდან. ინტერვიუების დროს ერთადერთი თეორია, რომელიც სტუდენტს შეეძლო გაეხსენებინა, იყო ვიგოტსკის თეორია - არ უხსენებიათ განათლების სხვა თეორიები და არც პედაგოგიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები (მაგ. მონტესორი, მაკარენკო, რუსო, ფრენე, დეკროლი, ფრეირე და ა.შ.).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 05 აგვისტოდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 05 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე